



საქართველოს უნივერსიტეტი

ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა

სადოქტორო პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება

ხელნაწერის უფლებით

გიორგი თურაზაშვილი

**ფინანსური სექტორის განვითარებისა და
დივერსიფიცირების შესაძლებლობები
განვითარებად ბაზრებზე**

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

(სპეციალობა: ბიზნესის ადმინისტრირება)

თბილისი

2026

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს

უნივერსიტეტის ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა
სკოლა

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე: ეკა გეგეშიძე, პროფესორი,

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი, ნინო დავითაია

საბჭოს წევრი: გივი ლემონჯავა, პროფესორი,

ოფიციალური ექსპერტები:

შიდა ექსპერტი - პროფესორი გივი ლემონჯავა, საქართველოს
უნივერსიტეტი;

გარე ექსპერტი - პროფესორი ნინო ქავთარაძე, საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტი;

გარე ექსპერტი - პროფესორი თეა კასრაძე, კავკასიის
საერთაშორისო უნივერსიტეტი;

გარე ექსპერტი - პროფესორი ნონა ქავთარაძე, საქართველოს
ეროვნული უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 2026 წლის 6 აპრილს, 16:00 საათზე

მისამართი: საქართველოს უნივერსიტეტის მეოთხე კორპუსი, #519.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება საქართველოს უნივერსიტეტის
ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 12 თებერვალს

სადისერტაციო საბჭოს მდივანი - ნათია მანჯიკაშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა

ფინანსური სექტორის განვითარება და დივერსიფიცირება განვითარებადი ეკონომიკებისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს, ვინაიდან იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკურ ზრდასთან, საინვესტიციო აქტივობასთან და მაკროეკონომიკურ სტაბილურობასთან. განვითარებად ქვეყნებში ფინანსური სისტემა უმეტესად კონცენტრირებულია საბანკო სექტორზე, მაშინ როდესაც კაპიტალის ბაზრები და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები მათ შორის საფონდო ბირჟები, საპენსიო ფონდები, სადაზღვევო სექტორი და საინვესტიციო ბანკინგი სუსტად ან საერთოდ არ არის განვითარებული. აღნიშნული სტრუქტურული დისბალანსი ზღუდავს გრძელვადიანი ფინანსური რესურსების მობილიზებას, ამცირებს ინვესტიციების დივერსიფიკაციის შესაძლებლობას და ზრდის ეკონომიკის მოწყვლადობას შოკების მიმართ. ამ პირობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი იმის მიმართ, თუ როგორ მოქმედებს კაპიტალის ბაზრების განვითარება ფინანსურ ჩართულობაზე, ინვესტიციების ზრდასა და ეკონომიკური განვითარების მდგრადობაზე. კაპიტალის ბაზრების გაძლიერება განიხილება როგორც საბანკო სისტემის შემავსებელი დამატებითი მექანიზმი, რომელიც აუმჯობესებს ფინანსური რესურსების ეფექტიან გადანაწილებას და ზრდის ფინანსური სისტემის საერთო სტაბილურობას. შესაბამისად, ფინანსური სექტორის განვითარების სტრუქტურული თავისებურებებისა და მისი ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის სიღრმისეული ანალიზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განვითარებადი ბაზრების კონტექსტში. აღნიშნული საკითხის კვლევა მნიშვნელოვანია როგორც თეორიული თვალსაზრისით, ასევე პრაქტიკული პოლიტიკის ფორმირებისათვის, განსაკუთრებით იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ისწრაფვიან ფინანსური სისტემის მდგრადი და ინკლუზიური განვითარებისკენ.

კვლევის ძირითადი მიზანი და ამოცანები

დისერტაციის მიზანია შეფასდეს ფინანსური სექტორის განვითარების და დივერსიფიცირების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე და ფინანსურ რესურსებზე წვდომაზე განვითარებადი ბაზრების კონტექსტში, ასევე განსაზღვრული იქნას ის ინსტიტუციური და პოლიტიკის მექანიზმები, რომელთა გამოყენება ხელს შეუწყობს კაპიტალის ბაზრების გადრმავებასა და ფინანსური სისტემის სტრუქტურულ გაძლიერებას (საქართველოსა და სხვა განვითარებადი ეკონომიკების მაგალითით).

კვლევის ამოცანებია:

1. ფინანსური ბაზრების განვითარების ისტორიული ევოლუციისა და თანამედროვე ფუნქციონირების თავისებურებების მიმოხილვა
2. კაპიტალის ბაზრების, ფინანსური ჩართულობისა და ეკონომიკური ზრდის თეორიული კავშირის სისტემური ანალიზი
3. საინვესტიციო ბანკების როლის შეფასება ფინანსური სისტემის დივერსიფიცირებაში, ფინანსური ინოვაციების ხელშეწყობასა და რისკების მართვაში
4. ემპირიული კვლევის ჩარჩოს ფორმირება და ჰიპოთეზების განსაზღვრა კაპიტალის ბაზრის ინდიკატორების გავლენაზე ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებით
5. ეკონომეტრიული ანალიზის ჩატარება (რეგრესიული მოდელირება, დროითი რიგების ტესტები, პანელური მიდგომები) და შედეგების ინტერპრეტაცია
6. საქართველოსა და განვითარებადი ბაზრებისთვის პოლიტიკის რეკომენდაციების ჩამოყალიბება.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

ნაშრომის მეცნიერული სიახლე გამოიხატება შემდეგში:

1. კაპიტალის ბაზრების განვითარების, ფინანსური ჩართულობისა და ეკონომიკური ზრდის კავშირის ინტეგრირებული კონცეპტუალური ჩარჩოს შეთავაზება,

რომელიც ერთიანად განიხილავს საბანკო და არასაბანკო ინსტიტუტების ფუნქციებს

2. საინვესტიციო ბანკების როლის განხილვა არა მხოლოდ როგორც კაპიტალის მობილიზაციის, არამედ როგორც ფინანსური ინოვაციების, ბაზრის სიღრმის და ინსტიტუციური ნდობის ფორმირების მექანიზმის;
3. ეკონომეტრიული მოდელების გამოყენებით საბაზრო კაპიტალიზაციისა (MarketCap) და სხვა კაპიტალის ბაზრის ინდიკატორების ეკონომიკურ ზრდასთან კავშირის შეფასება (შედარებითი ანალიზი აშშ-სა და გერმანიის მაგალითზე 2010–2022 წლებში);
4. შედეგების საფუძველზე განვითარებადი ბაზრებისთვის ეტაპობრივი „საგზაო რუკის“ (roadmap) რეკომენდაციები: რეგულაცია, ინფრასტრუქტურა, მცირე ინვესტორების ჩართულობა და ფინტექ-ინსტრუმენტები.

ძირითადი შედეგების მიხედვით, საბაზრო კაპიტალიზაციის ზრდა ეკონომიკურ ზრდასთან პოზიტიურ და სტატისტიკურად მნიშვნელოვან კავშირშია განვითარებულ ბაზრებზე (აშშ და გერმანია), ხოლო ბრუნვის (Turnover) ინდიკატორის გავლენა შედარებით სუსტი ან ცალკეულ პერიოდებში უარყოფითი გამოვლინებით ხასიათდება. მიღებული მიგნებები ხაზს უსვამს, რომ კაპიტალის ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინსტიტუციურ გარემოზე, ნდობაზე, მარეგულირებელ ჩარჩოზე და მაკროეკონომიკურ/გეოპოლიტიკურ შოკებზე.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

სადისერტაციო ნაშრომში მოცემული კვლევა ემყარება თანამედროვე ფინანსურ-ეკონომიკურ თეორიებს, რომლებიც განმარტავს ფინანსური სექტორის როლს ეკონომიკური განვითარების პროცესში. კერძოდ, გამოყენებულია ფინანსური ინტერმედიაციისა და ეკონომიკური ზრდის თეორიები, კაპიტალის ბაზრების განვითარების მოდელები, ფინანსური ჩართულობის კონცეფცია და ინსტიტუციონალური მიდგომები,

რომლებიც ხაზს უსვამს ფინანსური ინფრასტრუქტურისა და მარეგულირებელი გარემოს მნიშვნელობას ეკონომიკური შედეგების ფორმირებაში. აღნიშნული თეორიული ჩარჩო ქმნის საფუძველს ფინანსური სექტორის სტრუქტურული თავისებურებებისა და მისი დივერსიფიკაციის ეკონომიკური ეფექტების გაანალიზებისთვის. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, კვლევა ეფუძნება დედუქციურ ლოგიკას, რომლის ფარგლებში თეორიული დასკვნების საფუძველზე ფორმულირდება კვლევის ჰიპოთეზები და შემდგომ მოწმდება ემპირიული მონაცემების გამოყენებით. კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის დიზაინი, რეგრესია და რეგრესული მოდელები და ასევე სხვა თანამედროვე ეკონომეტრიული ანალიზის მეთოდები, რაც უზრუნველყოფს მიღებული შედეგების სანდოობასა და ობიექტურობას.

კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები:

1. რეგრესიული მოდელირება (simple და multiple linear regression);
2. დროითი რიგების სტაციონარობის ტესტები (მაგ., Augmented Dickey-Fuller);
3. პანელური მონაცემების ანალიზი (Panel Data) ქვეყნისა და დროის ჭრილში შედარებისთვის;
4. შედეგების დამუშავება და მოდელების შეფასება პროგრამა - „R“-ში

ნაშრომის თეორიული ღირებულება

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი ავსებს განვითარებადი ბაზრების ფინანსური სექტორის განვითარების შესახებ არსებულ კვლევით დისკურსს, სადაც ტრადიციულად ძირითადი ყურადღება საბანკო სექტორს ეთმობა, ხოლო კაპიტალის ბაზრები და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები ხშირად მეორეხარისხოვნად განიხილება. ნაშრომი აფართოებს თეორიულ ჩარჩოს იმ მიმართულებით, რომ ფინანსური სისტემის სტრუქტურა და დივერსიფიკაციის ხარისხი განიხილება როგორც დამოუკიდებელი ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარების დინამიკაზე. კვლევა აჩვენებს, რომ ფინანსური დივერსიფიკირება მათ შორის საფონდო

ბირჟების, საინვესტიციო ბანკინგის, საპენსიო ფონდებისა და სადაზღვევო სექტორის განვითარება შეიძლება ჩამოყალიბდეს ეკონომიკური ზრდის გრძელვადიან საფუძველად განვითარებად ეკონომიკებში. აღნიშნული მიდგომა ეწინააღმდეგება იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც საბანკო სექტორის გაფართოება თავისთავად საკმარისია მდგრადი ზრდის უზრუნველსაყოფად და უსვამს ხაზს კაპიტალის ბაზრების ფუნქციურ მნიშვნელობას ინვესტიციების მობილიზებისა და რისკების ეფექტიანი გადანაწილების პროცესში. ამასთან, ნაშრომში თეორიულად დასაბუთებულია, რომ ფინანსური დივერსიფიკაციის პოზიტიური ეფექტები სრულად ვლინდება იმ პირობებში, როდესაც პარალელურად ძლიერდება ინსტიტუციური გარემო, უმჯობესდება რეგულირების ხარისხი და იზრდება ფინანსური ჩართულობის დონე. ამგვარად, კვლევა აყალიბებს ინტეგრირებულ თეორიულ ხედვას, რომლის მიხედვითაც ფინანსური სექტორის განვითარება, ინსტიტუციური სტაბილურობა და ფინანსური ჩართულობა ურთიერთდაკავშირებულ და ერთმანეთის გამამდიერებელ ფაქტორებად გვევლინება ეკონომიკური ზრდის პროცესში. აღნიშნული თეორიული დასკვნები ქმნის საფუძველს შემდგომი აკადემიური კვლევებისთვის და პოლიტიკის დონეზე ალტერნატიული განვითარების მოდელების ფორმირებისთვის განვითარებადი ბაზრების კონტექსტში.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის შედეგები მნიშვნელოვან პრაქტიკულ ღირებულებას ატარებს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისა და ფინანსური სექტორის განვითარების სტრატეგიების შემუშავების პროცესში განვითარებადი ეკონომიკებისთვის. კვლევის ფარგლებში მიღებული ემპირიული დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო ორგანოების, ცენტრალური ბანკებისა და ფინანსური მარეგულირებელი ინსტიტუტების მიერ ფინანსური სისტემის დივერსიფიკაციისა და კაპიტალის ბაზრების გამდიერების მიმართულებით მიზნობრივი პოლიტიკის განსაზღვრისას. ნაშრომი იძლევა პრაქტიკულ რეკომენდაციებს, თუ როგორ

შეიძლება საბანკო სექტორთან ერთად განვითარდეს კაპიტალის ბაზრები, საინვესტიციო ბანკინგი, საპენსიო და სადაზღვევო სექტორი, რაც ხელს შეუწყობს გრძელვადიანი საინვესტიციო რესურსების მობილიზებას, კერძო სექტორის დაფინანსების გაფართოებასა და ეკონომიკური შოკების მიმართ ფინანსური სისტემის მდგრადობის ზრდას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევის დასკვნები იმ ქვეყნებისთვის, სადაც ფინანსური სექტორი მაღალი კონცენტრაციით და შეზღუდული ინსტრუმენტებით ხასიათდება. ამასთან, კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფინანსური განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებში, კაპიტალის ბაზრების რეფორმების დიზაინში და ფინანსური ჩართულობის გაზრდაზე ორიენტირებულ პროგრამებში. ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება ვლინდება აგრეთვე აკადემიურ და საგანმანათლებლო სფეროში, სადაც იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დამხმარე მასალა ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და განვითარების ეკონომიკის სასწავლო კურსებში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლისგან, ოთხი ძირითადი თავისგან, დასკვნისა და რეკომენდაციებისგან. ნაშრომში ასევე წარმოდგენილია გამოყენებული ლიტერატურის სია, ცხრილები და დანართები, რაც უზრუნველყოფს კვლევის ემპირიული და თეორიული საფუძვლების სრულყოფილ წარმოჩენას. შესავალ ნაწილში წარმოდგენილია თემის აქტუალობის დასაბუთება, ფორმულირებულია კვლევის მიზანი და ამოცანები, განსაზღვრულია კვლევითი კითხვა და ჰიპოთეზები, ასევე მოკლედ არის აღწერილი გამოყენებული მეთოდოლოგიური მიდგომა. პირველი თავი ეძღვნება ფინანსური ბაზრების განვითარების ისტორიულ მიმოხილვასა და თეორიულ ანალიზს. მასში განხილულია ფინანსური ბაზრების როლი ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ეკონომიკური განვითარების გადამწყვეტი ასპექტები, ფასიანი ქაღალდების ბაზრების სტრუქტურა და ფინანსური ჩართულობის მნიშვნელობა ეკონომიკური ზრდის პროცესში. მეორე თავი ფოკუსირებულია საინვესტიციო ბანკების როლზე ფინანსურ სისტემაში. აქ

განალიზებულია საინვესტიციო ბანკინგის ძირითადი ფუნქციები, მისი ადგილი ფინანსური სექტორის არქიტექტურაში და მნიშვნელობა კაპიტალის ბაზრების განვითარებისა და ფინანსური დივერსიფიკაციის კონტექსტში. მესამე და მეოთხე თავები ეთმობა სტატისტიკურ კვლევას, შედეგების ანალიზსა და ინტერპრეტაციას. წარმოდგენილია გამოყენებული მონაცემები და ეკონომეტრიული მოდელები, შეფასებულია კაპიტალის ბაზრებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის სტრუქტურული კავშირები, განალიზებულია ემპირიული შედეგები განვითარებული ეკონომიკების (აშშ და გერმანია) მაგალითზე და შეფასებულია დასმული ჰიპოთეზები. დასკვნით ნაწილში შეჯამებულია ნაშრომის ძირითადი შედეგები, ხოლო რეკომენდაციების თავში ჩამოყალიბებულია პრაქტიკული მიმართულებები ფინანსური სექტორის განვითარების, კაპიტალის ბაზრების გაძლიერებისა და ინსტიტუციური გარემოს გაუმჯობესებისათვის. ნაშრომი სრულდება გამოყენებული ლიტერატურის სიით, ცხრილებითა და დანართებით. ნაშრომის საერთო მოცულობა შეადგენს 128 გვერდს, რაც მოიცავს როგორც თეორიულ, ისე ემპირიულ ნაწილებს.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალი

ფინანსური სექტორის განვითარება და დივერსიფიცირება უკვე ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში წარმოადგენს განვითარებული სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს. აღნიშნული გარემოება განპირობებულია იმით, რომ სწორედ ფინანსური და კაპიტალის ბაზრების განვითარების დონე განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ეკონომიკური ზრდის ტემპებსა და მოსახლეობის კეთილდღეობის ხარისხს. ფინანსური ბაზრები მეშვეობით იქმნებოდა და იქმნება ის მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ხდება დანაზოგების გარდაქმნა ინვესტიციებად, რესურსების გადანაწილება და ეკონომიკური პროცესების სტაბილურობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, ფინანსური სექტორის სისუსტე ან ერთ სეგმენტზე გადაჭარბებული დამოკიდებულება პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის მდგრადობასა და განვითარებაზე.

განვითარებადი ქვეყნები, რომელთა ეკონომიკაც შედარებით მცირე მასშტაბისა და ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო, ჯერ კიდევ გასული საუკინდან და აქტიურად ცდილობდნენ განვითარებული სახელმწიფოების მაგალითზე ფინანსური ბაზრების ჩამოყალიბებასა და დახვეწას. აღნიშნული პროცესი მიზნად ისახავდა ფინანსური რესურსების მოზიდვის ალტერნატიული არხების შექმნას, ინვესტიციების ზრდას და ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. ამ კონტექსტში ფინანსური სექტორის დივერსიფიცირება განიხილებოდა არა მხოლოდ როგორც ფინანსური ინფრასტრუქტურის განვითარება, არამედ როგორც ეკონომიკური სტრუქტურის გაჯანსაღებისა და გრძელვადიანი განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა. ფინანსური სექტორის მნიშვნელობა განსაკუთრებით მკვეთრად გამოიკვეთა 2020 წლის გლობალური პანდემიის პერიოდში, როდესაც ერთდროულად მრავალი სექტორი რეცესიაში აღმოჩნდა და მსოფლიო ეკონომიკაში მკვეთრად გაიზარდა კაპიტალის დეფიციტი. ამ პერიოდში შედარებით ნაკლები ზიანი მიადგა იმ სახელმწიფოებს, რომელთა ფინანსური სისტემები არ იყო სრულად დამოკიდებული კომერციულ საბანკო სექტორზე და გააჩნდა კაპიტალის მოზიდვის მრავალფეროვანი წყაროები, მათ შორის აქტიური საფონდო და ფასიანი ქაღალდების ბაზრები. ფინანსური სისტემა, რომელიც მოიცავდა როგორც საბანკო, ისე კაპიტალის ბაზრებს, აღმოჩნდა უფრო სტაბილური და უკეთესად მოახერხა ეკონომიკური შოკების შთანთქმა. ასევე განსაკუთრებული ყურადღებით აღსაღნიშნავა ის მ გარემოება, რომ საქართველოში, ისევე როგორც ზოგადად სხვა განვითარებად მყოფ სახელმწიფოებში, ფინანსური სექტორი ხასიათდებოდა კომერციული საბანკო სისტემის დომინანტური პოზიციით. აღნიშნულ ქვეყნებში კაპიტალისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრები სუსტად არის განვითარებული და ვერ ასრულებს სრულფასოვან ფუნქციას კაპიტალის ფორმირებისა და რესურსების ეფექტიანი გადანაწილების პროცესში. ასეთი ფინანსური სტრუქტურა განაპირობებს დაფინანსების წყაროების სიმწირეს, ზრდის ფინანსური რესურსების ღირებულებას და აძლიერებს საბანკო სექტორის კონცენტრაციას, რაც საბოლოოდ ზღუდავს ეკონომიკური აქტივობის გაფართოების

შესაძლებლობებს. ფასიანი ქაღალდების ბაზარი, თავისი არსით, წარმოადგენს კაპიტალის ფორმირების ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც კომპანიებსა და სახელმწიფოებს ეძლევათ შესაძლებლობა მოიზიდონ გრძელვადიანი ფინანსური რესურსები. საფონდო ბაზრის მეშვეობით კომპანიები გამოსცემენ აქციებსა და ობლიგაციებს ბიზნესის გაფართოებისთვის, საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისა და კვლევისა და განვითარების პროცესების მხარდაჭერის მიზნით. ამასთანავე, ფასიანი ქაღალდების ბაზარი უზრუნველყოფს ინვესტორთა ფართო სპექტრის ჩართულობას, რაც ზრდის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. აუცილებად აღსაღნიშნავია ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნიდან მოყოლებული, დღემდე ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს მეორადი ბაზრის არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობას და ინვესტორებს აძლევს შესაძლებლობას, მოკლე დროში გადაექციონ თავიანთი ინვესტიციები ნაღდ ფულად. აღნიშნულ პროცესში საფონდო ბირჟები და ელექტრონული სავაჭრო პლატფორმები მოქმედებს, როგორც ორგანიზებული სივრცე, სადაც ხდება ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად. აღნიშნული სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირება მნიშვნელოვნად იყო და არის დამოკიდებული მარეგულირებელ ჩარჩოზე, მენეჯმენტსა და ფინანსურ ინფრასტრუქტურაზე. ამასთანავე, თანამედრო სამყაროში ტექნოლოგიური განვითარების შედეგად მნიშვნელოვნად გამარტივდა როგორც კაპიტალის მოძიება, ისე ინვესტირება ბანკებისა და ტრადიციული შუამავლების გვერდის ავლით. აღნიშნულმა პროცესმა შეამცირა ტრანზაქციის ხარჯები და დააჩქარა ფინანსური რესურსების მობილიზაცია. შედეგად, განვითარებად ქვეყნებს გაუჩნდათ ახალი შესაძლებლობები, განვითარებინათ კაპიტალის ბაზრები და შეექმნათ უფრო კონკურენტული ფინანსური გარემო. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ნაშრომში განსაზღვრული იქნა ის კვლევითი პრობლემები და საკითხები, (რომელიც აქტუალურია როგორც საქართველოსთვის ისე სხვა განვითარებადი ეკონომიკების მქონე

სახელწიფოებისათვის), ხსენებული პრობლემები შეგვიძლია გამოყვით შემდეგი სახით: ფინანსური სექტორის არასაკმარისი დივერსიფიცირება, ფასიანი ქაღალდების ბაზრის სუსტი განვითარება, მარეგულირებერი ჩარჩოს სისუსტე და არ არსებობა, ტექნოლოგიური ჩამორჩენა. საბოლოოდ კი პრობლემისა და კითხვის არსი მდგომარეობდა იმაში, თუ რამდენად შეუძლია კაპიტალის ბაზრების განვითარებას შეამცროს ინვესტიციის მოზიდვის ღირებულება, გააძლიეროს კონკურენცია ფინანსურ სექტორში და გაზარდოს ეკონომიკური აგენტებისა და ინვესტორებისათვის ფინანსებზე წვდომა. აღნიშნული პრობლემის შესასწავლად კვლევის პროცესში დასმული იქნა კვლევითი კითხვები, რომლებიც ეხებოდა საფონდო ბირჟების განვითარების გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე, ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობაზე და სექტორში მონოპოლიზაციის დონეზე. ამ კვლევითი კითხვების საფუძველზე ჩამოყალიბდა ორი ძირითადი ჰიპოთეზა N1 - საფონდო ბირჟის განვითარება დადებითად აისახება განვითარებადი და ტრანზაქციაში მყოფი ქვეყნების ეკონომიკებზე, რადგანაც ის შექმნის კონკურენციას დაფინანსების მოპოვებაში და შესაბამისად შეამცირებს როგორც დაფინანსების ღირებულებას, ასევე მონოპოლიზაციას სექტორში, ამასთანავე გაზრდის ფინანსებზე წვდომას. ჰიპოთეზა N2 - ფინანსური სექტორის (საფონდო ბირჟების, საპენსიო ფონდების და ფასიანი ქაღალდების ბაზრების) განვითარებაზე დადებით გავლენას იქონიებს მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესება და ბაზარზე შუამავლების ჩართულობის გარეშე საინვესტიციო პროდუქტებზე წვდომა

დისერტაციის მოკლე აღწერა თავების მიხედვით
დისერტაციის პირველ თავში - ფინანსური ბაზრების განვითარების ისტორია, მიმოხილვა და ანალიზი განხილულია ფინანსური ბაზრების ისტორიული განვითარება და კაპიტალის ბაზრების ინსტიტუციური არქიტექტურა. გაანალიზებულია საფონდო ბირჟების ძირითადი ფუნქციები (ლისტინგი, ლიკვიდობის უზრუნველყოფა, ფასების აღმოჩენა), ინვესტორთა დაცვისა და რეგულაციის მნიშვნელობა, მათ შორის საერთაშორისო პრაქტიკა (მაგ., ფასიანი ქაღალდების

მარეგულირებელი ორგანოების გამოცდილება). თავი მოიცავს ლიტერატურის კრიტიკულ მიმოხილვას კაპიტალის ბაზრებისა და ფინანსური ჩართულობის ურთიერთკავშირის მიმართულებით და აჩვენებს, რომ განვითარებად ბაზრებზე კვლევითი და პოლიტიკის დეფიციტი განსაკუთრებით მწვავეა.

დისერტაციის მეორე თავში - საინვესტიციო ბანკების როლი ფინანსურ სისტემაში, განხილულია საინვესტიციო ბანკების ფუნქციები, მათი მნიშვნელობა ფინანსური სისტემის განვითარებაში და მათი ეფექტი ეკონომიკურ აქტივობებზე, განსაკუთრებით განვითარებად ბაზრებზე. პირველ რიგში, წარმოდგენილია საინვესტიციო ბანკების ძირითადი ფუნქციების ანალიზი, რაც მოიცავს კაპიტალის მოზიდვასა და განთავსებას, კორპორატიულ ფინანსირებას, ფინანსურ ინოვაციებს, სტრუქტურირებულ პროდუქტებსა და რისკების მართვას. აღნიშნული ფუნქციები ასახავს იმას, რომ საინვესტიციო ბანკები აღარ იზღუდებიან მხოლოდ კაპიტალის გამცემის როლით, არამედ ითავსებენ კომპლექსურ ფუნქციებს, რომლებიც ხელს უწყობენ ფინანსური ბაზრების მდგრადობას და ინვესტიციების ეფექტიან განაწილებას. განსაკუთრებული ყურადღებაა დათმობილი 2007–2008 წლების გლობალურ ფინანსურ კრიზისზე, რომელმაც გამოავლინა საინვესტიციო ბანკების საქმიანობის ხარვეზები და საჭიროება მარეგულირებელი ჩარჩოების რეფორმირებისა. კრიზისის შემდეგ განხორციელებული მარეგულირებელი ტრანსფორმაციები, როგორცაა კაპიტალის კოეფიციენტების გამყარება, ლიკვიდობის მოთხოვნების მკაცრი კონტროლი და ფინანსური ინსტრუმენტების გამჭვირვალების გაზრდა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საინვესტიციო ბანკების საქმიანობაზე და ბაზრების მდგრადობაზე. თავის მხრივ, განვითარებად ბაზრებზე საინვესტიციო ბანკინგის განვითარების ხელშეშლა უკავშირდება რამდენიმე ძირითადი ფაქტორს: ნდობის დეფიციტს, ინსტიტუციურ სისუსტეებს, რეგულაციური გაურკვევლობის არსებობას და კაპიტალის ბაზრების ზედმეტ კონცენტრაციას საბანკო სისტემაზე. აღნიშნული გამოწვევები მნიშვნელოვნად ცვლის საინვესტიციო ბანკების სტრატეგიებს და აუცილებელს ხდის უფრო მოქნილი, ადგილობრივ რეალობაზე მორგებული რეგულირების ინსტრუმენტების შემუშავებას. თავში

ასევე განხილულია ინოვაციური მიდგომები, რომლებიც ბაზრის გაღრმავებას უწყობენ ხელს: კერძოდ, საფონდო ბირჟების ახალ პროდუქტებში ინვესტიციების წახალისება, საპენსიო და სადაზღვევო სექტორთან პარტნიორობა, ჰეჯირების და რისკის დივერსიფიკაციის ინსტრუმენტების შექმნა. ეს მიდგომები ქმნიან პირობებს, როდესაც საინვესტიციო ბანკები შეუძლიათ განახორციელონ უფრო აქტიური როლი ფინანსური სექტორის დივერსიფიკაციაში, შეამსუბუქონ საბანკო სისტემაზე გადაჭარბებული დამოკიდებულება და ხელი შეუწყონ გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის დაფინანსებას. შესაბამისად, მეორე თავი არა მხოლოდ დეტალურად განიხილავს საინვესტიციო ბანკების ფუნქციებს, არამედ ხაზს უსვამს მათ პოტენციალს, როგორც დივერსიფიცირებული, ინოვაციური და მდგრადი ფინანსური სისტემის მთავარი შემადგენელი კომპონენტი განვითარებად ეკონომიკებში.

მესამე თავი - სტატისტიკური კვლევა და შედეგების ანალიზი ეძღვნება ემპირიული კვლევის დიზაინს, მონაცემთა წყაროების შერჩევას და ეკონომეტრიული მოდელირების ლოგიკას. განიხილება დამოკიდებული ცვლადის (ეკონომიკური ზრდის/ GDP-ის) და დამოუკიდებელი ცვლადების (კაპიტალის ბაზრის ინდიკატორები, მაკროეკონომიკური კონტროლები და სხვა) ოპერატიული განსაზღვრება. წარმოდგენილია მოდელირების ეტაპები: მონაცემთა მომზადება, სტაციონარობის ტესტები, რეგრესიული მოდელების შეფასება და სტატისტიკური ვალიდაცია. აღნიშნული ანალიზი და კვლევა შესრულებულია პროგრამა „R“-ში.

მეოთხე თავში სტატისტიკური კვლევის შედეგები და ინტერპრეტაცია - ინტერპრეტირებულია ეკონომეტრიული მოდელების შედეგები და ხდება ჰიპოთეზების შემოწმება. აშშ-სა და გერმანიის მაგალითზე დასტურდება საბაზრო კაპიტალიზაციის პოზიტიური და მნიშვნელოვანი კავშირი GDP-სთან, რაც მიუთითებს კაპიტალის ბაზრების „სიღრმის“ (market depth) მნიშვნელობაზე. ამავე დროს, ბრუნვის (Turnover) ინდიკატორის შედეგები უფრო არაერთგვაროვანია, რაც შეიძლება ასახავდეს ბაზრის მოკლევადიან რყევებს, სავაჭრო აქტივობის

ციკლორობას და შოკებისადმი მგრძობელობას. თავში ასევე ხაზგასმულია პოსტ-პანდემიური პერიოდისა და გეოპოლიტიკური ფაქტორების გავლენა ფინანსურ არქიტექტურაზე და პოლიტიკის ადაპტაციის საჭიროება.

ზემოხსენებულის შემდგომ ნაშრომში მოდის დასკვნის ნაწილი სადაც შეჯამებულია თეორიული და ემპირიული ანალიზის შედეგები. ნაშრომი ასაბუთებს, რომ ფინანსური სექტორის განვითარება და დივერსიფიცირება ეკონომიკურ ზრდასთან სისტემურ კავშირშია, თუმცა ეფექტის მასშტაბი დამოკიდებულია ინსტიტუციურ ხარისხზე, ბაზრის სტრუქტურაზე და მაკროეკონომიკურ გარემოზე. გამოკვეთილია, რომ განვითარებადი ეკონომიკებისთვის კაპიტალის ბაზრების გაძლიერება უნდა განხორციელდეს თანმიმდევრულად: ნდობა/დაცვის მექანიზმები, ინფრასტრუქტურა, ინვესტორთა ბაზის გაფართოება და ინოვაციური მარეგულირებელი ჩარჩო. ნაშრომის დასკვნითი ნაწილი შემდგომ მოცემულია რეკომენდაციები:

რეკომენდაციები დაჯგუფებულია ოთხ ძირითად მიმართულებად, რომლებიც მიზნად ისახავენ ფინანსური სექტორის დივერსიფიკაციის, კაპიტალის ბაზრების გაძლიერებისა და ინვესტორთა ჩართულობის ხელშეწყობას:

1. ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩოს გაძლიერება (გამჭვირვალობა, ინვესტორთა დაცვა, კორპორაციული მართვა, ბაზრის ინფრასტრუქტურა);
2. საინვესტიციო ბანკინგის და არასაბანკო ინსტიტუტების ეკოსისტემის განვითარება (პროდუქტების დივერსიფიკაცია, სერვისების სტანდარტები, ნდობის გაძლიერება)
3. ფინანსური განათლება და საცალო ინვესტორების ბაზის გაფართოება (მარტივი პროდუქტებით დაწყება და ეტაპობრივი დივერსიფიკაცია)
4. ციფრული პლატფორმები და ინოვაციური რეგულაცია — Regulatory Sandbox, Open Finance, RegTech/SupTech; ასევე

საერთაშორისო ინტეგრაცია და ეტაპობრივი „საგზაო რუკა“

დასკვნა

სადოქტორო ნაშრომში შეისწავლილია ფინანსური სექტორის განვითარებისა და დივერსიფიცირების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე, შედარებით ჭრილში განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მაგალითებზე. ნაშრომის შედეგებმა აჩვენა, რომ ფინანსური სექტორის ეფექტი ზრდაზე მრავალმხრივია და განპირობებულია ინსტიტუციური გარემოს ხარისხით, ფინანსური ჩართულობითა და ბაზრის სტრუქტურით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფინანსური სისტემის ის კომპონენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ კაპიტალის მობილიზაციას, გრძელვადიანი რესურსების დაგროვებას და ინვესტიციების რეალურ სექტორში ტრანსფორმაციას. მიღებული დასკვნები მიუთითებს, რომ ფინანსური დივერსიფიკაცია და კაპიტალის ბაზრების გაძლიერება მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და ფინანსური სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფის პროცესში. ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზი ადასტურებს, რომ ფინანსური სექტორის განვითარება მხოლოდ საბაზრო აქტივობის მატებით არ იზომება; შედეგები უფრო ნათლად ჩანს გრძელვადიან ინვესტიციებში, ფინანსური რესურსების ეფექტიან გადაანაწილებაში და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერაში.

დისერტაციის თემასთან დაკავშირებული გამოქვეყნებული პუბლიკაციებისა და კონფერენციების ნუსხა.

გამოქვეყნებული სტატიები და კონფერენციები:

1. თურაზაშვილი, გ.; დავითაია, ნ. „Economic Transformation in the Caucasus – Georgia’s Role in Financial System“. *Business Excellence and Management*, ტომი 15, ნომერი 4, დეკემბერი 2025, გვ. 92-102. DOI: 10.24818/beman/2025.15.4-07..
2. თურაზაშვილი, გ. „საინვესტიციო ბანკების კრიტიკული როლი განვითარებადი ეკონომიკების მდგრად ზრდაში:

- საქართველო როგორც მაგალითი“ / “The Critical Role of Investment Banks in the Sustainable Growth of Emerging Economies: The Case of Georgia”. Georgian Scientists, ტომი 7, ნომერი 4, 2025, გვ. 543-556. DOI: 10.52340/gS.2025.07.04.38
3. თურაზაშვილი, გიორგი. მონაწილეობა: “2nd Edition of the International Conference on Economics – Challenges and Opportunities”, Doctoral Schools of the Bucharest University of Economic Studies, 09–11 ოქტომბერი, 2025.
 4. თურაზაშვილი, გიორგი. მონაწილეობა: IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “Georgia and the Caucasus: Past, Present, Future”, Georgian Studies Support Fund, თბილისი, 8–9 ნოემბერი, 2025



University of Georgia

School of Business and Administrative Sciences

Doctoral Program: Business Administration

With the right of the manuscript

Giorgi Turazashvili

**Financial Sector Growth and Diversification
Opportunities in Emerging Markets**

To get a Ph.D. degree

Submitted Paper

Dissertation Herald

(Specialty: Business Administration)

Tbilisi, Georgia

2026

The dissertation was completed in Georgia

University School of Business and Administrative Sciences

Chairman of the Dissertation Council: Professor, Eka Gegeshidze

Scientific supervisor: Professor, Nino Davitaia

Board Member: Professor, Givi Lemonjava, University of Georgia

Official experts:

External Expert - Professor Nino Kavtaradze, Georgian Technical University

External Expert - Professor Tea Kasradze, Caucaus University

External Expert - Professor Nona Kavtaradze, Georgian National University

The defense of the dissertation consists of April 6, 2026. 16:00

Address: The University of Georgia, Building IV, Room #519

A dissertation can be found at the University of Georgia

In the library.

The dissertation messenger was sent 12 February

Secretary of the Dissertation Council - Natia Manjikashvili

General Overview of the Dissertation

Relevance of the Topic

